

პროლეტარიათა ყველა ქვეყანაში, შეერთდით!  
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!



# მეზმედი მუშახმი

## БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო  
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит  
с 1926 года.

№ 28 (2071) კვირა, 14 ივლისი, 1985 წელი. შანი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის  
1926 წლიდან

### საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

6 ივლისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმში გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლაიშვილმა, პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ამბ. ე. ა. შევარდნაძე გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად მის დანიშნავთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად პლენუმმა აირჩია ამბ. ჯ. ი. პატიაშვილი, რომელიც მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანად.

პლენუმზე გამოვიდა ამბ. ჯ. ი. პატიაშვილი.

პლენუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი ერთსულოვნად იწონებენ სსრ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის ივლისის პლენუმის, სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მუშაობის შედეგებს, მაღალი პოლიტიკური აღმავლობის გრძნობით აცხადებენ, რომ მზად არიან კვლავაც განუხრებლად გაატარონ პარტიის მიერ შემუშავებული კურსი.

რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით პლენუმმა გულთხადი მადლობა მოახსენა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანის პოსტზე პარტიის გენერალურ

რი ხაზის, სსრ ურბანობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში დიდი დამხმარებისათვის, ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, აქტუალური სოციალური პრობლემების გადაწყვეტაში, მშრომელთა ახალგაზრდობის ინტერნაციონალური და პატრიოტულ აღზრდაში, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებაში, რესპუბლიკაში ჯანსაღი ზნეობრივ-პოლიტიკური, საქმიანი შემოქმედებითი ვითარების შექმნაში პირადი დიდი წვლილისათვის.

პლენუმმა აღუთქვა სსრ ცენტრალური კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, მშრომელები ყოველ ღონეს მოახმარენ მიღწეული წარმატებების განმტკიცებასა და მათს შემდგომ ზრდას შექმნილი გამოცდილების საფუძველზე და კვლავაც უკომპრომისო ბრძოლას აწარმოებენ, ჯერ კიდევ არსებული ყველა ნაკლის აღმოფხვრისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, ძაღლონება და ენერჯიას არ დაიშურებენ სსრ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, დირხეულად შეხვდებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სსრ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამბ. ე. ა. შევარდნაძემ.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილი

ამბ. ჯ. ი. პატიაშვილი დაიბადა 1939 წელს მოსამსახურის ოჯახში. სსრ კავშირის 1962 წლიდან. დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სპეციალობით სწავლული აგრონომია, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

მშრომითი საქმიანობა ამბ. ჯ. ი. პატიაშვილმა დაიწყო კომკავშირულ ორგანოებში, იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე, მდივანი; სწავლობდა ასპირანტურაში, მუშაობდა ამავალ ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1965 წლიდან ამბ. ჯ. ი. პატიაშვილი კვლავ კომკავშირულ სამუშაოზეა — არის რესპუბ-

ლიკის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, სექტორის გამგე, სრულიად საქავშირო ალკც ცენტრალური კომიტეტის სოფლის ახალგაზრდობის განყოფილების პასუხისმგებელი ორგანიზატორი. 1969-1970 წლებში იგი საქართველოს ალკც ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანია 1970-1973 წლებში კი პირველი მდივანი. 1973-1974 წლებში ამბ. ჯ. ი. პატიაშვილი მუშაობდა პარტიის გორის რაიკომის პირველ მდივანად, 1974 წლიდან კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანია.

საქართველოს კომპარტიის XXVII, XXV და XXVI ყრილობებზე ამბ. ჯ. ი. პატიაშვილი არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრ-

ლური კომიტეტის წევრად. 1971-1973 წლებში იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, 1974 წლიდან კი ბიუროს წევრი, არის საქართველოს სსრ მეშვიდე და მომდევნო მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ამბ. ჯ. ი. პატიაშვილი არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად, სრულიად საქავშირო ალკც ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატად.

ამბ. ჯ. ი. პატიაშვილი დაჯილდოებულია ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით.

## СЕГОДНЯ В НОМЕРЕ:

- Информация о Пленуме ЦК КП Грузии. (1-ая стр.)
- Утверждается партийная характеристика (2-ая стр.)
- О работе, проделанной УВД Юго-Осетии по укреплению оперативной обстановки в области статья начальника политотдела УВД «В свете возросших требований». (3-я стр.)
- Кинологи питомника служебного собаководства МВД ГССР и их подопечные несут совместную службу. (4-ая стр.)

## ინფორმაცია, გონივრული

იმსახურდა ალექსანდრეს ძე ახლამაშვილი დაიბადა 1958 წელს საგარეოში. 1974 წელს დაამთავრა საგარეო პოლიტექნიკური ტექნიკური და სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხლის შემდეგ კომკავშირული სპეციალური მიღებული იქნა მილიციელად საგარეო შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში. შემდეგ გადაიყვანეს გურჯაანის სატრანსპორტო მილიციაში. ი. ახლამაშვილმა თავი გამოიჩინა, როგორც თავდადებული და დისციპლინისა თანამშრომელი, ხელმძღვანელობისაგან მიღებული აქვს მადლობები. 1980 წელს ი. ახლამაშვილი სასოფლო-სამეურნეო წესრიგის განყოფილებაში დატვირთვის დაწინაურდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ქების სიგელით. 1983 წლიდან ი. ახლამაშვილი ერთ-ერთ შრომა-განხორციელების დაწინაურებაში მუშა-



ობს. აქვე შეინიჭა უმცროსი ლეიტენანტის წოდება. დაწინაურებაში რაზმეულთა შორის შრომით შეჯიბრში მისი რაზმი 1984-85 წლებში პირველ ადგილს იკავებს და რაიონის შრომა-განხორციელების დაწინაურებათა რაზმეულთა შორის სსრ. შეჯიბრში გამარჯვებულია. მოწინავე მუშაკი წარდგენილია ჯილდოზე „უმწიკლო მუშაობისთვის“.

## მისაზიკი თაოსნობა

მისაზიკი თაოსნობა იკისრეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-განხორციელების დაწინაურებათა სამმართველოს კომკავშირულმა: პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის გ. ნატროშვილის ინიციატივით ყოველ შაბათს 14 ახალგაზრდა თანამშრომელი მონაწილეობს ნარიყალას ციხე-სიმაგრის სარესტავრაციო სამუშაოებში; ისინი ძირითადად ტერიტორიის გვუმენდის რთულ საქმეს ას-

რულებენ. მათ საქმიანობას ხელმძღვანელობს პროექტანტი ტ. კიპარიძე. კომკავშირულმა მამული-შვილურ წამოწყებაში დიდ დახმარებას უწევს სამმართველოს უფროსი, შ/ს პოლკოვნიკი გ. ხოჯავა და პარტიული ორგანიზაციის მდივანი ე. ნიკოლაიშვილი.

ა. გოგოლაძის ტექსტი და ფოტო.



## საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში

გაიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს მიმდინარე წლის ექვსი თვის მანძილზე თეორიულ-სამსახურებრივი მუშაობის შედეგები. კოლეგიაზე გასული წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის რესპუბლიკის სახელმწიფო ავტონისპექციის სამმართველოს გადაეცა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის გარდამავალი წითელი დროშა.

(კოლეგიის მასალებს გაეცნობით ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.)







